აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ

2020 წლის 31 ოქტომბერს არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების წევრთა რაოდენობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების მიზნით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-28 მუხლის მე-2 პუნქტისა და 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების წევრთა რაოდენობა:

ა) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი

გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი;

დ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი;

ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი;

ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი - 6 წევრი.

მუხლი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

№	კომიტეტის დასახელება	კომიტეტის წევრთა რაოდენობა	ფრაქცია „ქართული ოცნება“	უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში (უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი)
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა	6	4	2
2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	6	4	2
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	6	4	2
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	6	4	2
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	6	4	2
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	6	4	2

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის 15 დეკემბერი
№6-Iს